ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ41.41213063**

თარიღი:**02/11/2021**

სენაკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 29 ოქტომბერს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №40-402130280 მომართვაზე (სარეგისტრაციო №12-41213051-41) - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით" - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს VII თავის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"-ს 85-ე მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 2 ნოემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე) გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოება.

2. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულ იქნეს 2022 წლის 29 იანვრამდე .

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს – დავითი ხუხიას და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს – ვეფხვია რუსიას.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

ბადრი კალანდარიშვილი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ. №243 , ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16
ელ-ფოსტა: SAKREBULO.SENAKI@GMAIL.COM ვებ: WWW.SENAKI-SAKREBULO.GOV.GE